



სურათებზე: ს. გრიშჩენკო; მარჯვნივ — გ. შიხოვა ასპარეზობისას.

ვ. კიკვაძის ტელეფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№52 (5082)

1974 წ. 14 მარტი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


# რისკის საზღაური

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ო. გელაშვილი ბაკურიანიდან ტელეფონით გვატყობინებს

ბაკურიანი, 12 მარტი. გიგანტურ სლალომში მოასპარეზე ვაჟთა სარეკორდო რაოდენობა (სარბიელზე 182 სპორტსმენი გამოვიდა) მსაჯთა კოლეგიის სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. გამარჯვებულის გამოსავლენად სპორტსმენები სხვადასხვა სირთულის ტრასაზე ორ-ორჯერ უნდა დაშვებულიყვნენ, რაც დიდ დროს მოითხოვდა. არადა, შეჯიბრება დროულად უნდა დამთავრებულიყო, რათა მეორე დღისთვის ქალთა სპეციალური სლალომის ტრასის მოწყობა დაღამებამდე მოესწროთ. გადაწყდა, რომ გიგანტურ სლალომში პირველი მონაწილე, სწრაფდაშვებაში გამარჯვებული ა. გოლუბკოვი (მოსკოვის ოლქი) სტარტს 10 საათზე აიღებდა.

სუსხიანი დილა გათენდა. ცივი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. ტემპერატურა დაეცა. ტრასა გაიყინა. სარბიელი წარსულში ცნობილმა სპორტსმენებმა ვ. ტალიანოვმა და ვ. მელიხოვმა მოაწყვეს. ტალიანოვმა 1160-მეტრიან ტრასაზე 52 კარი დადგა. მელიხოვმა 1145-მეტრიანი მონაკვეთი აირჩია და მასზე 40 კარი განალაგა (ორივე შემთხვევაში სიმაღლეთა სხვაობა 320 მეტრი იყო).

სტარტამდე ცნობილი გახდა საკონტროლო დრო — 1,53. ესე იგი, ვინც პირველ ცდაზე უარეს შედეგს აჩვენებდა, ასპარეზობას მექანიკურად ეთიშებოდა. სათხილამურო სპორტის ვეტერანმა ჯ. თაქთაქიშვილმა დაშვების ტრასა გახსნა და გოლუბკოვი ბრძოლაში ჩაება. წუთის მერე სტარტი აიღო ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ს. გრიშჩენკომ (მუშაობდა წამმზომელთა ორი ბრიგადა). საკონტროლო დრო ამოიწურა, სპარტაკიადის ჩემპიონი კი არ ჩანდა. გრიშჩენკომ ფინიშის ხაზი გადაკვეთა — 1.14,89. როცა დაშვება დაიწყო მესამე მონაწილემ, მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ა. ტორმოსინმა, ფინიშთან გოლუბკოვიც გამოჩნდა. მისი დრო 2.38,80.

რა მოხდა? რატომ გამოეთიშა ჩემპიონი ბრძოლას?

გოლუბკოვი დიდხანს თავდაღუნული იდგა. მივხვდით, რომ დისტანციაზე რაღაც შეემთხვა, მაგრამ რა? ასეთ დროს სპორტსმენები ინტერვიუს ხასიათზე არ არიან. მაინც გავბედეთ. გოლუბკოვი ასეთი უხასიათო სრულიადაც არ აღმოჩნდა. როცა წარუმატებლობის მიზეზი ვკითხეთ, გაიღიმა და თქვა — ჩემი ბრალია, ძალიან ვჩქარობდი. მეორე ოქროს მედალიც მინდოდა. სიჩქარეში ნაძვთან თხილამური კარს გამოვდე და დამატრიალა. გოლუბკოვის ნათქვამი მხოლოდ მათთვის იყო გასაგები, ვინც კოხტაგორაზე სამთო-მოთხილამურეთა ძველ ბილიკებს იცნობს. ახლა ტრასაზე ხე სადღაა? ოდესღაც კი მართლა იდგა უზარმაზარი ნაძვი. გოლუბკოვსაც სწორედ იმ ადგილზე მოსვლია მარცხი. „დატრიალება" კი უფრო მეტს ნიშნავს — დიდი სისწრაფით მომავალი სპორტსმენი ამ მარცხს არ შეიძლება უზარალოდ გადაურჩეს. ამასობაში რბოლა ზედიზედ დაამთავრეს ტორმოსინმა (1.16,38), მისმა თანაქალაქელმა სპორტის ოსტატმა ა. ვოლობუევმა (1.19,71), პერმელმა ოსტატმა მ. ლოგინოვმა (1.15,83), მაგრამ გრიშჩენკოს ვერც ერთმა ვერ აჯობა. უძლიერესთა ჯგუფიდან კიდევ ათმა სპორტსმენმა (მათ შორის ი. ნასყიდაშვილიც იყო) სცადა ლენინგრადელი „ჩამოეტოვებინა", მაგრამ გრიშჩენკოს პოზიცია მეტად მყარი გამოდგა. ეტყობა სანკტ-მორიცის მსოფლიო ჩემპიონატის სტარტებს მისთვის ამაოდ არ ჩაუვლია.

პირველ ტრასაზე თერთმეტ ჯგუფად დაყოფილ სპორტსმენთა ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა. უძლიერესთა ათეულში მოხვდა საქართველოს გუნდის ორი წევრი: გ. ჯიჩოევი („დინამო") — 1.16,58 და ი. ნასყიდაშვილი — 1.16,72. მათ შესაბამისად V და VIII ადგილები დაიკავეს. ეს ბევრს ნიშნავდა. მეორე ცდა გადამწყვეტია და ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ ტრასის მასპინძლები უფრო წინაც წასულიყვნენ.

მაგრამ გრიშჩენკოს ბედი სწყალობდა: პირველი დაშვების დროს ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი გოლუბკოვი მარცხის გამო ჩამოშორდა, მეორე ცდისას კი ძირითადად მეტოქეთა შემდეგ ეშვებოდა (მეორე ცდაზე სპორტსმენთა თანმიმდევრობა იცვლება) და შეეძლო მათი შედეგები გაეთვალისწინებინა.

ასპარეზობა პირველმა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა პ. კარეტნიკოვმა დაამთავრა. ორი დაშვების ჯამში მისი შედეგია 2.31,60. მეორე ცდაზე მას მ. მუსაინოვმა (ყაზახეთი) 0,13 წამი მოუგო, მაგრამ საბოლოოდ ვერ აჯობა — 2.34,94. ამაოდ დაშვრა ვ. სუხანოვიც (ტაჯიკეთი) — 2.35,44.

— დისტანციაზეა ნასყიდაშვილი, სტარტზე — სემიონოვი! — გამოაცხადა დიქტორმა.

მაყურებელთა ყურადღება დაიძაბა.

1.13,96 — ასეთი იყო ნასყიდაშვილის მეორე შედეგი. ჯამში ქართველი სპორტსმენი დაწინაურდა — 2.30,68, მაგრამ ლიდერობა მხოლოდ მანამ შეინარჩუნა, სანამ შეჯიბრებას დაამთავრებდა სპორტის ოსტატი მ. ვერეზგოვი. მერე ვერეზგოვს ლოგინოვმა გაუსწრო, ლოგინოვს კი ისევ გრიშჩენკომ აჯობა — 1.13,35. გრიშჩენკოს ახლაც ყველაზე უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა. ჯამში მისი მაჩვენებელი 2.28,24 იყო. ახლა გრიშჩენკოს დაძლევა მხოლოდ ჯიჩოევს შეეძლო. ამ მიზნის მისაღწევად მეორე ტრასა ლენინგრადელ სპორტსმენზე 1,70 წამით ადრე უნდა დაემთავრებინა. პირიქით კი მოხდა. ჯიჩოევმა პირვანდელი შედეგი (1.16,58) 0,84 წამით გააუარესა და საბოლოოდ XII ადგილს დასჯერდა. აქვე ვიტყვით, ფავორიტებიდან მხოლოდ ჯიჩოევს მოეცარა ხელი უფრო მოკლე ტრასაზე. მიზეზი მერე გამოირ-

(დასასრული მე-2 გვ.).

## კობა აქტიურ სპორტს ეთხოვება

ბაკურიანში შაბათი განსაკუთრებული დღე იქნება: 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრების შემდეგ აქტიურ სპორტს გამოეთხოვება ჩვენი სასიქადულო „მფრინავი მოთხილამურე", საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ბევრ საერთაშორისო შეხვედრაში გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 40 წელს მიღწეული კობა წაქაძე.

— მართალია, თავს ჯერ კიდევ მხნედ ვგრძნობ, მაგრამ ვფიქრობ, სამშობლოს წინაშე სპორტულ სარბიელზე ვალმოხდილი ვარ. ახლა სხვა საქმესაც უფრო გულმოდგინედ მივხედავ, — ამბობს კობა. — ტურისტთა ბაზის გაძღოლა დიდ დროს მოითხოვს. გარდა ამისა, განზრახული მაქვს სპორტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ჩემს ნორჩ თანამემამულეებს გადავცე. იქვე არ მეპარება, რომ სპარტაკიადის დახურვის დღეს ჩემი კოლეგების შეჯიბრებაზე დიდძალი მაყურებელი მოიყრის თავს. არ მინდა გულშემატკივრები გაწბილდნენ. მოხარული ვიქნები, თუ ისინი საქართველოს სპორტსმენთა მაჩვენებლებით კმაყოფილი დარჩებიან.

## საფრანგეთის პრეზიდენტი პომპიდუ სსრ კავშირში

სოჭი, 12 მარტი, (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ ჩამოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ, რათა შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ლ. ი. ბრეჟნევს.

პრეზიდენტს საფრანგეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი ა. მ. ალექსანდროვი და ა. ი. ბლატოვი, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ფ. მედუნოვი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ო. ძობახია, კრასნოდარის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ნ. პ. რაზუმოვსკი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ვ. შინკუბა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შ. მ. თათარაშვილი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ვ. დუბინინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე დ. ს. ნიკიფოროვი და სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყვნენ საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ჟაკ ვიმონი, საბჭოური და უცხოური პრესის წარმომადგენლები.

ბავშვებმა ლ. ი. ბრეჟნევსა და ჟ. პომპიდუს ყვავილები მიართვეს.

საფრანგეთის პრეზიდენტთან ერთად ჩამოვიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი მიშელ ჟობერი, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი ედუარდ ბალადიური, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ჟოფრუა დე კურსელი, სხვა ოფიციალური პირნი.

ადლერის აეროპორტიდან ლ. ი. ბრეჟნევი და ჟ. პომპიდუ გაემგზავრნენ ბიჭვინთაში, სადაც საუბრებს გამართავენ.

## სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974



სურათზე: ი. ნასყიდაშვილი დისტანციაზე.
ო. გელაშვილის ფოტო.

# უთავო

## ანუ რატომ ჩამორჩება

რესპუბლიკებში სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარების საზომია საკავშირო ტურნირები, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება. მაგრამ ეს შეჯიბრებები მუდამ უტყუარ ცნობებს როდი გვაწვდის. ზოგჯერ ცალკეულ წარმატებათა მიღმა იმალება უამრავი ხარვეზი და ისინი დღეს თუ ხვალ უთუოდ იჩენენ თავს. ეს პრაქტიკამ ბევრჯერ დაადასტურა და სწორედ ამიტომ გვინდა ვილაპარაკოთ საქართველოში ცურვის დღევანდელი დონის შესახებ.

საქართველოს მოცურავეთა ნაკრები საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ერთი შეხედვით ურიგოდ არ გამოსულა: გვყავდა პირადი ტურნირის ჩემპიონიც, გვყავდა სხვა პრიზიორებიც, თითქოს გამოჩნდა პერსპექტიული ახალგაზრდობაც, რომლის ხარჯზეც რესპუბლიკის ნაკრები უნდა გადაგვეხალისებინა და რამდენიმე სპორტსმენი სსრ კავშირის ნაკრებისთვისაც მიგვეცა. ზომდგომი ორგანოები ამას ერთ-ორ წელიწადში ელოდნენ.

მაგრამ ეს ერთი-ორი წელიც გავიდა და გამოირკვა, რომ იმედი ფუჭი იყო. თ. ლეკვეიშვილის, ი. ლისეცკისა და ს. კრასკოს შემცვლელებთან მუშაობა სათანადო დონეზე არ იდგა. ჯეროვანი ყურადღება არც სპორტსმენებთან პოლიტაღმზრდელობითს მუშაობას ექცეოდა. ამიტომ პერსპექტიულმა, საიმედო მოცურავეებმა ჩვენი რესპუბლიკა დატოვეს. „ლელო" ამაზე თავის დროზე წერდა.

საბოლოო შედეგი ის იყო, რომ შარშანდელი საკავშირო ტურნირების მოწინავეთა შორის საქართველოს ვერც ერთი მოცურავე ვერ ვიხილეთ.

საქართველოში ცურვის განვითარების პრობლემებზე ბევრჯერ იყო ლაპარაკი საქალაქო და რესპუბლიკური ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის კრებებზე, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების პლენუმებზე. სპეციალისტები გამოდიოდნენ პრესაშიც და მდგომარეობის გამოსწორებისთვის თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ, მაგრამ ბაზების ქსელის გაფართოებას, ამ ბაზების წყლით მომარაგებას, მწვრთნელთა დიდი ნაწილის მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გარდაქმნას საშველი არ ექნა და არ დაადგა.

თუ სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, რესპუბლიკაში 51 საცურაო აუზია, მაგრამ ამ აუზების დიდი ნაწილი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, ან მარტო სათვალავში ჩაუთვლიათ, მაგრამ წლიდან წლამდე მათში წყალი არავის უნახავს. დასამალი როდია, რომ საქართველოში სადღეისოდ სრულწლიური ვარჯიშისთვის ასე თუ ისე გამოსადეგი აუზი დიდი გაჭირვებით ათი შეიძლება მოგროვდეს. ამ ათიდანაც ყველა ყოველმხრივ აღჭურვილი როდია, ხან ერთი გამოდის მწყობრიდან, ხან მეორე. თბილისის „ლოკომოტივის" აუზი ამ ორიოდე წლის წინათ გაჭიანურებული რემონტის გამო რამდენიმე თვეს მოცდა. ამ დღეებში კი ბაზის დირექციას გაზით სარგებლობა აუკრძალეს, ვინაიდან წყლის გათბობის სისტემა მოსაწესრიგებელია.

საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა „განთიადის" სამაგახანიანი აუზი ქუთაისში. ეს აუზი რამდენიმე წელია საექსპლოატაციოდ გადაეცა, მაგრამ თბილი წყლის რეგულარულად მიწოდების საკითხი დღემდე გადაუჭრელია. ერთხანს ამ აუზის თბილი წყლით უზრუნველყოფა ქუთაისის მექანიკური ქარხნის ხელმძღვანელობამ დაივალა და ბევრი რამ გააკეთა პირობის შესასრულებლად, მაგრამ ვინაიდან საწვავის შოვნისთვის თავს არავინ იწუხებს, აუზი უსისტემოდ, შემთხვევიდან შემთხვევამდე მუშაობს და, ცხადია, არც სათანადოდაა დატვირთული.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ხელს უშლის ქუთაისში ცურვის მასობრივად განვითარებას, პერსპექტიული სპორტსმენების შერჩევასა და მათს დაოსტატებას. შეიძლება სწორედ საჭირო პირობების უქონლობამ აიძულა ნიჭიერი მწვრთნელი ანანოვი სამუშაოდ ერევანში გადასულიყო. თავისთავად ეს სასიამოვნო ფაქტი არ არის. ანანოვი ცუდად მოიქცა, როცა თავისი აღმზრდელი რესპუბლიკა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში მიატოვა,

# რისკის საზღაური

დასასრული

კვა: პლატომდე ერთ-ერთ ვირაჟზე უკვე საკმაოდ ოღროჩოღრო ტრასაზე სპორტსმენს თხილამური დროულად ვერ დაუმორჩილებია. დასანანი მარცხია. ნასყიდაშვილსაც და ჭიჩოევსაც უფრო მაღალ ადგილებზე შეეძლოთ გასვლა. თუმცა, ბიჭების მიმართ საყვედური მაინც არ გვეთქმის: კოლექტივს მათ 39 ქულა შესძინეს (ნასყიდაშვილის ანგარიშზე 30 ქულა მოდის), საქართველოს გუნდის სხვა წევრებმა კი ვერაფერი არგეს. იგივე უნდა ვუსაყვედუროთ იუნიორებსაც, რომელთაგან ყველაზე კარგად ისევ თბილისის არმიელი ლ. ბანდური დაეშვა — 2.49,31.

გრიშჩენკომ წარმატება ასე ახსნა:

— მე სხვებზე მეტი რისკი გავწიე. თავდაპირველად გოლუბკოვს მივყვებოდი კვალში და მინდოდა მანძილში სხვაობა შემემცირებინა. მერე, როცა შემთხვევით შეყოვნებულს გავუსწარი, ახალი ძალა ვიგრძენი და, როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე, „თხილამურები მივუშვი". მეორე ცდაზე მეტოქეთა შედეგები სტარტზევე ვიცოდი. გამარჯვებისთვის რისკის გაწევის მეტი არაფერი მჭირდებოდა. ქვეყნის ჩემპიონის მედალი ჩემთვის პირველი არ არის, მაგრამ მაინც უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ, ვინაიდან ჯილდო ორივე დაშვებაში გამარჯვებით მოვიპოვე.

**ტექნიკური შედეგები**

ვაჟები. ს. გრიშჩენკო (ლენინგრადი, „შრომითი რეზერვები") — 2.28,24 (1.14,89, 1.13,35), მ. ლოგინოვი (პერმის ოლქი, „ბურევესტნიკი") — 2.30,20 (1.15,88, 1.14,37), მ. ვერეზგოვი (ლენინგრადის ოლქი, „სპარტაკი")—2.30,49 (1.16,59, 1.13,90), ი. ნასყიდაშვილი (საქართველო, „ბურევესტნიკი") — 2.30,68 (1.16,72, 1.13,96), ა. ტორმოსინი (მოსკოვი, „ბურევესტნიკი") — 2.30,70 (1.16,38, 1.14,32), ნ. სნეჟუროვი (ლენინგრადი, „შრომითი რეზერვები") — 2.30,70 (1.16,75, 1.13,95); იუნიორები. ვ. ანდრეევი (მურმანსკის ოლქი, „ტრუდი") — 2.34,98, ვ. სინეტოვი (კამჩატკის ოლქი, „სპარტაკი") — 2.37,49, ვ. კორნიუშინი (ბრიანსკის ოლქი, „სპარტაკი") — 2.38,50, ვ. ტატარინოვი (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 2.38,07, ს. ნეტრედენკო (მოსკოვი, „შრომითი რეზერვები") — 2.40,98, პ. ეგოროვი (ბელორუსია, „ბურევესტნიკი")—2.41,14.

გუნდური შედეგები: ლენინგრადი — 75 ქულა, მოსკოვი — 65, საქართველო — 39, პერმის ოლქი — 34, მურმანსკის ოლქი — 33, ლენინგრადის ოლქი — 32.

## მასპინძლები არ ჩანან

დღეს გრძელდებოდა ქალთა და ვაჟთა შეჯიბრებები ერთადგილიანი ციგებით. საქართველოს სპორტსმენები ამ სახეობაში წარუმატებლად გამოდიან. ჩვენი ქალთა გუნდი ორი წევრისგან შედგებოდა და ისინიც მოუმზადებლობის გამო საასპარეზოდ არ დაუშვეს. ორი ცდის მერე ისევ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. შაშკოვა (მოსკოვი) — ლიდერობს — 1.25,999. იგი უახლოეს მეტოქეს ვ. ზოზულიას (ლატვია, „ვარპა") 1.486 წამს უგებს. ვაჟებისთვის უკვე სამი დაშვება მოეწყო. ბოლო ცდის წინ დაწინაურდა ი. კორიაკინი (უკრაინა, „ავანგარდი") — 2.06,386. საქართველოს გუნდის ხუთი სპორტსმენიდან ოცეულში არავინ ჩანს. თ. თედიაშვილს, რომელიც პირველი დაშვების მერე XIII ადგილზე იყო, დღეს ორ დაშვებაში ბედმა უმტყუნა და 26-ე ადგილზე გადაინაცვლა — 2.18,488. ზ. კოპაძე 28-ე ადგილზეა.

ამ სახეობაში ჩემპიონები დღეს უნდა გამოვლენილიყვნენ, მაგრამ, ვინაიდან ყინული შელხვა, ასპარეზობის დასკვნითი ნაწილი ხვალისთვის გადაიდო. ორადგილიანებით შეჯიბრება 14 მარტს ჩატარდება.

## პრიზები პარტნიორებს ელიან

საბჭოთა კავშირის ზამთრის სპარტაკიადის გმირები მთავარი პრიზების გარდა ჯილდოდ 85 სხვადასხვა სახის საჩუქარს მიიღებენ. ეს საჩუქრები რესპუბლიკის კომკავშირულმა, საზოგადოებრივმა, სპორტულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკური და ბორჯომის რაიონის საწარმო-დაწესებულებების კოლექტივებმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოუმზადეს სპორტსმენებს.

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სხვა სახეობაში უძლიერესებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებთან ერთად ეს საჩუქრებიც გადაეცემათ. პრიზები დაწესებულია, აგრეთვე, ყველაზე ახალგაზრდა მონაწილისთვის, ყველაზე ლამაზი გამოსვლისთვის, მტკიცე ნებისყოფისთვის, სახეობათა მიხედვით საუკეთესო მსაჯებისთვის და სხვა.

საჩუქრების ნაწილი პატრონებს უკვე ჩაბარდა. 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებულმა, ბაკურიანელმა მ. გავამ ჩემპიონის მედალთან ერთად საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ბორჯომის მინის ქარხნის ჯილდოები მიიღო, მეორე პრიზიორმა ნაპალკოვმა — ვერცხლის მედალი და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პრიზი. ნ. სუსლიკოვმა, რომელიც ხტომაში მესამე იყო, „ლელოს" პრიზი დაიმსახურა. „ლელოს" მეორე პრიზი გადაეცა ორჭიდში მესამე პრიზიორს ი. ხროპოვს. ჩემპიონმა ვ. კოპაევმა საქართველოს სსრ კვების სამინისტროს მიერ დაწესებული პრიზი მიიღო.

# გუნდური შედეგები

მდგომარეობა 11 მარტისთვის

### რესპუბლიკები, ოლქები, ქალაქები

| | მამაკაცები | ქალები | სულ |
|---|---|---|---|
| მოსკოვი | 443 | 360 | 803 |
| ლენინგრადი | 387 | 281 | 668 |
| პერმის ოლქი | 255,5 | 70 | 325,5 |
| სვერდლ. ოლქი | 128,5 | 188,5 | 317 |
| ლენინგრ. ოლქი | 308 | 0 | 308 |
| მოსკოვის ოლქი | 161 | 129 | 290 |
| გორკის ოლქი | 157 | 114 | 271 |
| ყაზახეთი | 57 | 191,5 | 248,5 |
| კიროვის ოლქი | 103 | 110 | 213 |
| უკრაინა | 165 | 47 | 212 |
| ესტონეთი | 95 | 89 | 184 |
| საქართველო | 176,5 | 0 | 176,5 |
| კემეროვოს ოლქი | 138 | 30 | 168 |
| ბაშკირეთის ასსრ | 160 | 0 | 160 |
| კომის ასსრ | 0 | 159 | 159 |
| ბელორუსია | 92 | 49 | 141 |

შენიშვნა: სპარტაკიადაში რსფსრ-ს, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების 37 გუნდი მონაწილეობს.

### სპორტსაზოგადოებები და უწყებები

I ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" | 547 | 618 | 1165 |
| „ბურევესტნიკი" | 548,5 | 405,5 | 954 |
| „სპარტაკი" | 652 | 285 | 937 |
| „ტრუდი" | 297,5 | 389 | 686,5 |
| შეიარაღ. ძალები | 366,5 | 246,5 | 613 |
| „შრ. რეზერვები" | 302,5 | 74 | 376,5 |
| „ზენიტი" | 141 | 176 | 317 |
| სოფლის. სპორტსაზოგ. ნაკრები | 176 | 75 | 251 |
| „ლოკომოტივი" | 170 | 77 | 247 |

II ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| „ენბეკი" | 0 | 123 | 123 |
| „ვარპა" | 115 | 0 | 115 |
| „უროჟაი" (რსფსრ) | 46 | 64 | 110 |
| „ავანგარდი" | 45 | 36 | 81 |
| „კრასნოე ზნამია" | 19 | 15 | 34 |
| „კალევი" | 0 | 29 | 29 |
| „კოლმეურნე" | 11 | 0 | 11 |
| „ამხატანქი" | 10 | 0 | 10 |
| „უროჟაი" (ბელორ.) | 0 | 7 | 7 |
| „იიუდი" | 0 | 4 | 4 |

## ზედმეტი „თავმდაბლობა"

სვერდლოვსკში გრძელდება შეჯიბრებები სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ რამდენიმე სახეობაში. ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ციგურაობაში ე. გრიშინმა 1500-მეტრიან დისტანციაზე ქალთა ასპარეზობის წინადღით თქვა, ოქროს მედლის ბედი პირველ გარბენში გადაწყდებაო. იგი წინასწარმეტყველი აღმოჩნდა. სპორტკომბინატ „იუნოსტის" ბილიკზე საჩემპიონო წამები აჩვენა სწორედ გორკელმა სტუდენტმა ტ. ავერინამ, რომელსაც პირველ წყვილში მეტოქეობას უწევდა კიეველი ტ. შელეხოვა. გამარჯვებულის შედეგია 2.24,38. ვერცხლის მედალი ხვდა ლენინგრადელ გ. სტეპანსკაიას — 2.25,90, ბრინჯაოსი — მის თანაქალაქელ ნ. სტატკევიჩს — 2.26,31.

როგორც ხედავთ, ახალგაზრდა სპორტსმენებმა „ვერ დაარღვიეს" ჩემპიონთა წყობა, ვინაიდან ამ შემთხვევისთვის სრულიად ზედმეტი „თავმდაბლობა" გამოიჩინეს. ეს აღნიშნა თავად ავერინამაც, რომელმაც სპარტაკიადის ორი ოქროს მედალი მოიპოვა.

სპორტსმენთა სისწრაფეზე გავლენა მოახდინა ამინდმაც: სვერდლოვსკში საგრძნობლად აცივდა და ცივმა ქარმაც დაუბერა.

ფიგურულ ციგურაობაში ქალთა ერთეულების თანრიგში სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა მოსწავლემ ლ. ბაკონინამ — 215,81 ქულა. ადგილების ჯამი — 9. ვერცხლის მედალი ხვდა ლენინგრადელ ტ. ოლენევას — 211,51 (18), ბრინჯაოსი — მოსკოველ ე. ლიტკინას — 195,63 (39).





● პრაღა, 12 მარტი. სსრ კავშირის ნაკრების ჰოკეისტებმა რევანში აიღეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან პირველ მატჩში დამარცხებისთვის და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3.

● ლენინგრადი, 12 მარტი. ქალაქის მძლეოსანთა ჩემპიონატში დახურულ დარბაზში შეჯიბრება სსრ კავშირის ახალი მიღწევით დაამთავრა ლენინგრადელმა სტუდენტმა ქალმა ლ. პოპოვსკაიამ. მან ხუთჭიდში 4349 ქულა დააგროვა.

● ბელგრადი, 12 მარტი. ფრენბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური ტურნირის პირველ მატჩში ცსკა-ს სპორტსმენებმა დაამარცხეს რუმინეთის „დინამო" — 3:0. მათ ასეთივე ანგარიშით მოიგეს მეორე მატჩიც ჩეხოსლოვაკიის „რუდა გვეზდასთან". დასახელებულ გუნდებს გარდა ტურნირში მონაწილეობს პოლონეთის აზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფ ე დ ე რ ა ც ი ა

## ცურვა საქართველოში

მაგრამ მის დანაშაულს კიდევ უფრო ამძიმებს ის ამბავი, რომ მწვრთნელმა ქუთაისიდან სპორტსმენებიც წაიყვანა თან.

მრავალწლიანი დავის მიუხედავად, დღემდე მოუგვარებელია სოხუმის დოსააფის ღია აუზის საკითხიც. ეს ბაზა თავის მოვალეობას მხოლოდ ზაფხულში ასრულებს, წლის სხვა დროს კი უქმადაა, ვინაიდან არ თბება. გათბობის სისტემის გაყვანა დოსააფს არ აინტერესებს, ხოლო ვისაც ამ საკითხის მოგვარება შეუძლია, მას აუზში არ უშვებენ. არადა აფხაზეთში ერთი ბაზაც არ არის ისეთი, რომ ცურვის მასობრივად სწავლება შეიძლებოდეს, უამისოდ კი ტალანტების აღმოჩენა შეუძლებელია. მწვრთნელებს ზღვა ნაწილობრივ შეიძლება დაეხმაროს, მაგრამ სპორტსმენთა დაოსტატებაში, შედეგების ზრდისთვის ბრძოლაში იგი ვერაფერი თანაშემწეა. სწორედ ზღვის წყალობაა, რომ აფხაზეთსა და აჭარაში მწვრთნელები ჯგუფებში უმეტესად ცურვის მცოდნე ბავშვებს იღებენ, მაგრამ ბაზების უქონლობა ტექნიკის შემდგომი სრულყოფის საშუალებას არ იძლევა.

ცურვის მასობრივად სწავლების, სპორტსმენთა აღზრდისა და წვრთნისთვის ნორმალური პირობების შექმნის საკითხი ტყიბულშიც გადასაწყვეტია. ამ ქალაქში აგერ მერამდენე წელია აუზი აქვთ, მაგრამ აქაური მოცურავეები რესპუბლიკურ შეჯიბრებებში არ ჩანან.

ქართლ-კახეთის, მესხეთის, გურია-სამეგრელოს, სამხრეთ ოსეთის (სხვებზე აღარას ვამბობთ) რაიონები და ქალაქები რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრებს ვერაფრით ეხმარებიან ვინაიდან საცურაო აუზები არცა აქვთ და არც თავს იწუხებენ ამ ბაზების აგებამოწყობისთვის. სადაც გაბედეს და აუზის მშენებლობას შეუდგნენ, საქმე უსაშველოდ გაჭიანურდა. რუსთავში, მაგალითად, კარგად აღარც კი ახსოვთ, როდის ჩაუყარეს საძირკველი აუზს და ზუსტად ვერც იმას გეტყვიან, როდის გადაეცემა ეს ბაზა საექსპლოატაციოდ.

რესპუბლიკაში ცურვის განვითარებას მწვრთნელთა მუშაობაში არსებული სერიოზული დამახინჯებანიც აფერხებდა. მწვრთნელთა უმეტესობა თავის გამოჩენას ყალბისმქნელობით ცდილობდა. თავიანთი მიზნის მისაღწევად ისინი ბავშვების მშობლების გაბრიყვებასაც არ ერიდებოდნენ, უთანხმდებოდნენ მათ, მოსწავლეებს ასაკს აკლებდნენ და უმცროს ჯგუფებში გამოჰყავდათ. ცხადია, ეს მოსწავლეები დაუმსახურებლად გამოდიოდნენ საპრიზო ადგილებზე და უფრო პატარებს, რომლებსაც მომავალში საქართველოს ნაკრები უნდა შეევსოთ, წინსვლის გზას უხშობდნენ. შარშან, მართალია, სიყალბემ იკლო, მაგრამ მდგომარეობა საბოლოოდ ჯერ მაინც არ გამოსწორებულა.

საქართველოში ცურვაში ახლა გაცილებით მეტი მოზარდი ვარჯიშობს, ვიდრე, მაგალითად, ამ ათიოდე წლის წინათ. გამოჩნდა უფრო მეტი მოცურავე, მაგრამ ნიჭიერ სპორტსმენთა კარგი მონაცემები ხშირად ჯერ ისევ გამოუყენებელი რჩება. მაგალითად, ამ ორიოდე წლის წინათ გაგრელ ბავშვებს ა. ბავინსა და ლ. სუინას სპეციალისტები მოვლენად მიიჩნევდნენ. ამ მოსწავლეებმა მართლაც გამოიჩინეს თავი, საქართველოს რეკორდები დაამყარეს, მაგრამ შარშან ეს წინსვლა შეწყდა. შედეგებმა რატომღაც იკლო, თუმცა ბავინაც და სუინაც სწორედ ახლა არიან იმ ასაკში, როცა ცურვაში საუკეთესო შედეგებს უნდა აღწევდნენ. იქნებ სუინაზე მწვრთნელის შეცვლამ იმოქმედა?

მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს ცურვის ფედერაცია იბრძოლებდა ნაკლოვანებების გასასწორებისთვის და სათანადო ორგანოების წინაშე პრინციპულად დასვამდა საკითხს ბაზების ქსელის გასაფართოებლად, წყლით აუზების უზრუნველსაყოფად, მწვრთნელთა საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სინამდვილეში ასე არ მოხდა.

ამას წინათ საქართველოს ალპიურ კლუბში შეიკრიბა ცურვის რესპუბლიკური აქტივი, რომელსაც უნდა მოესმინა ფედერაციის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. როგორც წესი, ანგარიშს ფედერაციის თავმჯდომარე აბარებს, მაგრამ ამჯერად იგი კრებას არ ესწრებოდა. როგორც გამოირკვა, ფედერაციის ძველი შემადგენლობიდან, რომელიც ამ 8-9 წლის წინათ აურჩევიათ, ბევრს (მათ შორის ფედერაციის თავმჯდომარე ვ. გაზაევს) ეს საზოგადოებრივი საქმიანობა ჰოსწყენია და თვითნებურად მიუტოვებია. უთავო ფედერაციის გაძღოლა აღარავის უკისრია.

ფაქტიურად, აქტივი იმისთვის მეიკრიბა, რომ ფედერაციის ახალი შემადგენლობა აერჩია. კრებამ მკაცრად გააკრიტიკა ცურვის რესპუბლიკური ფედერაცია, ამ ფედერაციის მწვრთნელთა საბჭო და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი, მწვრთნელები, ფიზკულტურის კომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, სპორტსკოლები. ცურვის განვითარებაში არსებულ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებზე სწორედ აქ ილაპარაკეს საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ლ. იოაკიმიძემ, საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ამ სახეობაში, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. გოიაშვილმა, მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ზ. ნათაძემ, „განთიადის" ცურვის სპორტსკოლის დირექტორმა მ. კასანოვამ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ცურვის კათედრის მასწავლებელმა თ. დოლიძემ, სოხუმელმა მწვრთნელმა ნ. იახიოპულომ, ქუთაისელმა მწვრთნელმა ნ. ზოტოვამ და სხვ.

მათ არც ის დაუმალავთ, რომ საზოგადოებრივი ორგანოების თაოსნობა ხშირად მხარდაჭერას ვერ პოულობდა.

ერთი სიტყვით, კრებაზე გამოირკვა, რომ საქართველოს ცურვის ფედერაციას რამდენიმე წელია თითი თითზე არ დაუკარებია. იბადება კითხვა: ნუთუ ეს სამარცხვინო მდგომარეობა მარტო ვ. გაზაევის უმოქმედობამ და გულგრილობამ გამოიწვია? სად იყვნენ ფედერაციის სხვა წევრები? ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ რატომ არ იზრუნა უმოქმედო ფედერაციის შემადგენლობის შეცვლისთვის?

ცურვის ფედერაციის ახალმა შემადგენლობამ თავდაუზოგავად უნდა იმუშაოს, რათა არსებული ნაკლოვანებები გამოსწორდეს, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრები სათანადოდ მომზადდეს, რესპუბლიკამ შეასრულოს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის დავალება — მონრეალის ოლიმპიადისთვის საბჭოთა ნაკრებს 5 კანდიდატი მოუმზადოს.

როგორც აქტივის კრებაზე აღინიშნა, ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოს მოცურავეთაგან გაისად ორი, ხოლო 1976 წელს სამი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი უნდა მომზადდეს.

## ტელეფონით

# ვეღარ დაეწევიან...

დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილის მონაწილეობა 8 მარტისადმი მიძღვნილ ბელგრადის ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. გაზეთ „პოლიტიკის" მიმომხილველი დ. ბოსანაცი წერს, რომ შეჯიბრების პირველი ნახევრის შემდეგ ნონა მეტოქეთათვის პრაქტიკულად მიუწვდომელიაო.

გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი ბელგრადში ტელეფონით დაუკავშირდა ნ. გაფრინდაშვილს და ესაუბრა მას.

— სამშაბათს VIII ტურის შეხვედრები გაიმართა, — თქვა ჭადრაკის დედოფალმა.— ჩემი მეტოქე იუგოსლაველი ბოჟკოვიჩი იყო. მან ხუსტად გაითამაშა ფრანგული დაცვა და მალე უპაიკოდ დარჩა. შემდგომ მეტოქემ მძაფრი წინააღმდეგობა გამიწია, მაგრამ სიძნელეებს თავი მაინც ვერ დააღწია. ბოლოს ფიგურა წააგო და დამნებდა.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა რაძიკოვსკა (პოლონეთი) — ვოკრუალოვას (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრაში. პარტია არ დამთავრებულა. შეწყვეტილ პოზიციაში ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკე მოგების შანსს ინარჩუნებს. გადაიდო, აგრეთვე, მარკოვიჩ—ხებრიჩის (ორივე — იუგოსლავია) პარტია.

მედიანიკოვა (სსრ კავშირი) დამარცხდა ვერეცისთან (უნგრეთი). შტადლერმა (იუგოსლავია) მოუგო ვასნეცკის (გდრ), კალხბრენერმა — პიხაილიჩს. ყაიმით დამთავრდა იოვანოვიჩ — ლაზარევიჩის (ორივე — იუგოსლავია) შეხვედრა.

8 ტურის შემდეგ მე 7 ქულა და 1 გადადებული პარტია მაქვს, ვერეცის — 6,5 ქულა. 16 პარტია გადადებულია. ამიტომ სხვა მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ჯერჯერობით გაურკვეველია.

# შესანიშნავი შედეგები

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, დამთავრდა დედაქალაქის მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში ჭაბუკთა და გოგონათა შორის. თითოეულ ტურნირში 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრებამ ჩემპიონები ვერ გამოავლინა.

გოგონათა შეჯიბრებაში ქ. გეგიძემ (54-ე სკოლა) და ლ. თანდაშვილმა (87-ე სკოლა) 9-9 ქულით I-II ადგილები გაიყვეს. მათ შორის ჩემპიონს გამოავლენს დამატებითი მატჩი ოთხ პარტიად.

8,5 ქულით III ადგილი დაიკავა ქ. გაჩეჩილაძემ (1-ელი სკოლა), IV-V ადგილებზე არიან ნ. გურიელი (55-ე სკოლა), მ. ხანთაძე (მე-60 სკოლა) — 8-8, VI-VII — მ. მამისთვალოვა (102-ე სკოლა), ლ. ქვარცხავა (1-ელი სკოლა) — 6-6. ეს გოგონები საქართველოს მოსწავლეთა პირველობაში მიიღებენ მონაწილეობას.

ჭაბუკებში 11-11 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ი. ეფიმოვმა (მე-2 სკოლა) და ზ. სტურუამ (მე-100 სკოლა). ჩემპიონს აქაც დამატებითი მატჩი გამოავლენს. აღსანიშნავია, რომ ტურნირი ორივემ დაუმარცხებლად ჩაატარა.

9 ქულით III ადგილი დაიკავა საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა მოსწავლეთა შორის ზ. აზმაიფარაშვილმა (მე-15 სკოლა). ახალგაზრდა მოჭადრაკე კარგად თამაშობს პოზიციურად, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ჩქარობს. 8,5 ქულით IV ადგილზეა ზ. თანდაშვილი (87-ე სკოლა). შემდეგ მოდიან რ. იაკობაშვილი (66-ე სკოლა) — 8, ზ. ბურჭულაძე (102-ე სკოლა) — 7,5, გ. გრძელიშვილი (მე-60 სკოლა) — 7.

ამ შვიდეულმა საქართველოს მოსწავლეთა პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

შეჯიბრებამ გამოავლინა ნორჩ მოჭადრაკეთა თამაშის ძლიერი და სუსტი მხარეები. მწვრთნელებს დიდი მუშაობა გვმართებს, რომ რესპუბლიკის ნაკრებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებით ითამაშოს. ნაკრები ფაქტიურად თბილისის მოსწავლეთა გუნდის ბაზაზე იქნება დაკომპლექტებული. ამიტომ საჭიროა დარჩენილი დრო გეგმიანად გამოვიყენოთ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

**თ. გიორგაძე,**
თბილისის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

# მეთექვსმეტედფინალის წყვილები

გამოვლინდა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალის წყვილები. ამ ეტაპზე ერთმანეთს ხვდებიან: „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „სპარტაკი" (მოსკოვი), „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ტორპედო" (მოსკოვი), „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ყაირათი" (ალმა-ათა), „დინამო" (მინსკი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი), „შინიკი" (იაროსლავლი) — „არარატი" (ერევანი), „ნეფთჩი" (ბაქო) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი), „შახტიორი" (დონეცკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „კარპატი" (ლვოვი) — ასკ (დონის როსტოვი), ცსკა — „სპარტაკი" (ნალჩიკი), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი), „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა), „პამირი" (დუშანბე) — „დინამო" (თბილისი), „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „დინამო" (მოსკოვი), „ზენიტი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი).

მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები ჩატარდება 14 მარტს, ხოლო განმეორებითი — 18 მარტს.

## ფეხ-ბურ-თი-74

# ჭ ა ბ უ კ თ ა ს ა კ ა ვ შ ი რ ო...

საკავშირო შეჯიბრებებს ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ომისწინანდელ წლებში და ერთ-ერთი პირველნი, ვისაც წილად ხვდა ჩემპიონთა წოდება, ქართველი ფეხბურთელები იყვნენ: თბილისის „მოლოტმა" მოსკოვში დაამარცხა ძლიერი მეტოქეები და გამარჯვებული დაბრუნდა შინ. შემდგომ წლებში ასეთივე წარმატებას მიაღწიეს თბილისის 35-ე სკოლის გუნდმა, თბილისის „დინამომ", თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა. გამარჯვებები აქვთ მოპოვებული, აგრეთვე, მოსკოვის „სპარტაკს", კიევის „დინამოს", დონეცკის „შახტიორს" და სხვ. ეს შეჯიბრებები იყო სპორტული დაოსტატების საუკეთესო სკოლა, აქ ვლინდებოდნენ და იზრდებოდნენ მომავლის გამოჩენილი ფეხბურთელები.

1973 წლიდან ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებას ოფიციალურად ეწოდა საკავშირო ჩემპიონატი. ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული სპორტსკოლის წარმომადგენლები.

მოზარდთა საკავშირო ჩემპიონატი 3 ეტაპად ტარდება. გათამაშება ადრე გაზაფხულზე იწყება მოკავშირე რესპუბლიკებში, მოსკოვსა და ლენინგრადში. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის დაიშვებიან ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფები, აგრეთვე, სკოლა-ინტერნატების, სპეციალიზებული სკოლებისა და სპორტკლუბების წარმომადგენლები, რომელთა ასაკია 16-18 წელი. რესპუბლიკურ ტურნირებში გათვალისწინებულია არანაკლებ 8 გუნდის მონაწილეობა, რათა თითოეულმა მათგანმა ჩაატაროს სულ მცირე 7 მატჩი.

მოზარდებს ეთმობათ საუკეთესო სტადიონები, მათ აუცილებლად უნდა ჩააბარონ მშდ კომპლექსის ნორმები, აგრეთვე, ფიზიკური და ტექნიკური მომზადების ნორმატივები.

ყველა ეს შეჯიბრება უნდა დამთავრდეს 1 აგვისტოსთვის, რათა გამოვლინდნენ II ეტაპის ზონალურ შეჯიბრებათა მონაწილენი. 24 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 36 საუკეთესო გუნდი (საქართველოდან ზონებში თამაშის უფლებას მიიღებს 3 კოლექტივი) დაიყოფა 6 ზონად. ზონებად განაწილება მოხდება კენჭისყრით, მაგრამ იმ პრინციპით, რომ შეძლების ფარგლებში ცალკეული რესპუბლიკების გუნდები სხვადასხვა ზონაში მოხვდნენ.

დასკვნითი, III ეტაპის მონაწილე 6 გუნდი ქმნის ფინალურ ჯგუფს, სადაც 3-11 ნოემბერს ჩვენი ქვეყნის რომელიმე სამხრეთის ქალაქში გათამაშდება ჩემპიონის ოქროს მედლები. როგორც ზონალურ, ისე ფინალურ შეჯიბრებებში მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან თითოჯერ. ყოველი მატჩის ხანგრძლივობა უდრის 80 წუთს. თამაშის მსვლელობაში შეიძლება 6 ფეხბურთელის შეცვლა.

ზონალურ შეჯიბრებათა პერიოდში მონაწილეებმა უნდა ჩააბარონ 3 არჩევითი ნორმატივი ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაში და ყოველი გუნდის 11 მოთამაშის საუკეთესო შედეგები შევა საერთო ჩათვლაში, რითაც გაირკვევა უძლიერესი გუნდი ნორმატივების ჩაბარებაში, აგრეთვე, გამარჯვებული ფეხბურთელი ნორმატივებში. საუკეთესო გუნდსაც და ფეხბურთელსაც გადაეცემათ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სამახსოვრო ვიმპელები.

ზონალურ და ფინალურ შეჯიბრებათა ადგილებს განსაზღვრავს საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო და უპირატესობა მიეკუთვნება იმ ქალაქებს, სადაც ადგილობრივი ორგანიზაციები საუკეთესო პირობებს შეუქმნიან მონაწილეებს ტურნირების ჩასატარებლად.

გუნდი, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებს ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში, დაჯილდოვდება საკავშირო სპორტკომიტეტის გარდამავალი პრიზით და I ხარისხის დიპლომით, ხოლო მოთამაშეებს გადაეცემათ ჟეტონები, დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები. I-II ადგილებზე გასული გუნდები და მოთამაშეები მიიღებენ შესაბამის ჯილდოებს. დაჯილდოვდებიან, აგრეთვე, გამარჯვებული გუნდების მწვრთნელებიც.

დაწესებულია ცალკეული პრიზებიც ყველაზე ტექნიკური გუნდისთვის, ყველაზე დისციპლინიანი კოლექტივისთვის, ჯილდოები გადაეცემათ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელებსაც.

1973 წელს საქართველოს ჭაბუკმა ფეხბურთელებმა საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ყველა საკავშირო შეჯიბრებაში: მათ მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება, მოიგეს „სიჭაბუკისა" და „იმედის" თასები, ცალკეულმა ფეხბურთელებმა საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებლებზე და სპეციალისტებზე. ეს შემთხვევითი არაა. ბავშვთა ფეხბურთი საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს — აქ მუდამ იზრდებოდნენ შესანიშნავი ფეხბურთელები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი მოზარდი ფეხბურთელები თავიანთი გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით წლეულსაც მაღალ შედეგებს მიაღწევენ.

**ა. მენშიკოვი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# სნაიპერები მე-2 სკოლიდან

ამას წინათ სოხუმში ჩატარდა ადგილობრივი სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების გუნდების შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით ტყვიის სროლაში. გუნდურ შეჯიბრებაში I ადგილზეა მე-4 საშუალო სკოლის კოლექტივი. II ადგილი დაიკავეს მე-10, III — მე-3 საშუალო სკოლების სპორტსმენებმა.

პირადი პირველობა მოიგო ა. გარალანკინმა (მე-2 სკოლა), რომელმაც 100 შესაძლებლიდან 100 ქულა დააგროვა. თანაკლასელები ვ. ბუტნიევი და ა. პინჩუკი მას შესაბამისად 2 და 3 ქულით ჩამორჩნენ.

**ვ. ქობალია.**

სოხუმი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ფინიში პარსაა მოუმდგარი





ამ ორ შეჯიბრებაში რეკორდები და უმაღლესი მიღწევები საკმაოდ უხვად იყო. როგორც ჩანს, მძლეოსნები გულმოდგინედ მოემზადნენ ახალი სეზონისთვის და ახლა სიხარულით იმკიან ამ მზადების ნაყოფს. სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსნები მოსკოვში, ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟში ასპარეზობდნენ. ნაჩვენები იქნა ზევრი მაღალი შედეგი. მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ქალთა ასპარეზობამ 60 მეტრზე რბენაში. ერთ-ერთი გარბენის ოთხმა მონაწილემ ერთნაირი შედეგი — 7,1 წამი აჩვენა, რაც უმაღლესი მსოფლიო მიღწევის გამეორებაა. სურათზე თქვენ ხედავთ ამ სარეკორდო გარბენის გმირებს (მარცხნიდან): მ. ფოტსონს (აშშ), ნ. ბესფამილნაიას (სსრ კავშირი), ტ. მონტგომერის (აშშ) და ლ. მასლაკოვას (სსრ კავშირი). სსრ კავშირის ჩემპიონატში (დახურულ შენობაში) საბჭოთა მძლეოსნების გარდა უცხოელებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ 60 მეტრზე რბენის ფინალში მთავარი ფავორიტები იყვნენ მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი ვ. ბორზოვი და უნივერსიადის ჩემპიონი ი. სილოვი. ბრძოლა აქაც უაღრესად მძაფრი იყო. ორივე ფავორიტმა ერთნაირი შედეგი — 6,4 აჩვენა, რაც ასევე უმაღლესი მსოფლიო მიღწევის გამეორებაა. I ადგილი მიეკუთვნა ბორზოვს (მარცხნივ), II — სილოვს.

ვ. კუზმინის, ვ. ხრისტოფოროვის, ა. კოჩეტკოვისა და ა. იაკოვლევის ფოტოები (საკდესის ფოტოქრონიკა).

წლეულს, ისევე როგორც წინა საკავშირო ჩემპიონატში, მძაფრი ბრძოლაა გაჩაღებული სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში, უფრო სწორად აუტსაიდერთა შორის. ეს სავსებით გასაგებია: ოქროს მედლები, ისევე როგორც ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზები, ბოლო წლებში გუნდების ერთ გარკვეულ ჯგუფს რჩება. თანაც, მოსკოვის არმიელები მუდამ I ადგილის პრეტენდენტები არიან, ხოლო ლენინგრადის სპარტაკელები, ასევე ტრადიციულად, ვერცხლის მედლებისა. ასე რომ, ჩემპიონატის სტარტიდან ფინიშამდე ბრძოლა უმაღლესი საკალათბურთო ჯილდოებისთვის ერთი მიმართულებით ვითარდება.

სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში კი მუდამ მძაფრი ბრძოლაა და აუტსაიდერთა ვინაობა მეტწილად ზედ ფინიშზე ირკვევა. აი ახლაც, მინსკის რტი-ს, რიგისა და კიევის არმიელებს 5-5 ქულა და საკმაოდ ბუნდოვანი პერსპექტივები აქვთ. მათთან უშუალო მეზობლობაშია შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — კაუნასის „ჟალგირისი", რომელმაც გუშინწინ კიევის ასკ-ს უმასპინძლა.

კაუნასელებმა მონდომებით ჩაატარეს ეს ბრძოლა და მეტოქეს ზედ ბოლო წუთებზე გამოსტაცეს გამარჯვება — 76:72. „ჟალგირისს" 7 ქულა დაუგროვდა. იგი ერთგვარად დასცილდა აუტსაიდერთა ტრიოს, მაგრამ III წრის ფინიშამდე ჩასატარებელი აქვს ორი ძნელი მატჩი კიევის „სტროიტელთან" და მოსკოვის „დინამოსთან". ამიტომ ადვილი შესაძლებელია „ჟალგირისი" ლენინგრადის დასკვნითი ტურის წინ ამ 7 ქულაზე გაიყინოს.

მანამდე კი რიგის, კიევისა და მინსკის კალათბურთელები ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ორ შეხვედრას, რომლებიც მინსკსა და რიგაში უნდა ჩატარდეს. ბელორუსიის დედაქალაქში ადგილობრივი კალათბურთელები კიევის არმიელებს უმასპინძლებენ, ლატვიის დედაქალაქში კი შედგება მატჩი ასკ-სა და მინსკის რტი-ს შორის.

გუშინწინ გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა. კიევის „სტროიტელმა" შინ დაამარცხა ბელორუსიის გუნდი — 87:71.

მესამე წრის ფინიშამდე 8 შეხვედრაღა დარჩა. 18 მარტს გუნდები შეწყვეტენ ჩემპიონატს და ერთკვირიანი შესვენების შემდეგ ყველანი ერთად შეიკრიბებიან ლენინგრადში, რათა, ჯერ ერთი, მოიცილონ პირველი წრის დარჩენილი 5-5 მატჩი, და მეორეც, გაარკვიონ წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ყველა 10 ადგილის საიდუმლოება.

რედაქციაში ხშირად მოდის შეკითხვები ჩემპიონატის ამ უცნაურ რეგლამენტზე. ჩვენ ერთხელ უკვე გავეცით პასუხი შეკითხვას, თუ რატომ ტარდება ასე ნაწილ-ნაწილ I წრის მატჩები და რატომ გადააქვთ მისი ერთი ნახევარი ჩემპიონატის ბოლოსთვის.

საქმე ისაა, რომ ზაფხულში შორეულ პუერტო-რიკოში უნდა ჩატარდეს კალათბურთელ ვაჟთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის ჩემპიონატიც ამ ტურნირისთვის მზადების ერთ-ერთი თვალსაჩინო საფეხურია, მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობაში ნაკრების უფროსი მწვრთნელი, რომელიც ამავე დროს ლენინგრადის „სპარტაკის" მთავარი დამრიგებელია, თავისი შინაური, საკლუბო საქმეებითაა დაკავებული. მას არა აქვს საშუალება საკუთარი თვალით ნახოს, როგორ ფორმაში არიან ნაკრების წევრები და კანდიდატები. ამიტომაც ჩემპიონატის ბოლოს ათივე გუნდს ერთად უყრიან თავს. ასეთი დასკვნითი ტური წლეულსაც ლენინგრადში ჩატარდება 26-დან 31 მარტამდე.

გახსოვთ ალბათ, რომ ჩემპიონატის I წრის ერთი ნახევარი ჩატარდა შარშან ნოემბერში თბილისსა და ტალინში. ახლა ამ ტურების მონაწილენი შეხვდებიან ერთმანეთს. თბილისის ტურში მაშინ თამაშობდნენ: ცსკა, მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" გუნდები, კიევის „სტროიტელი" და არმიელები. აი ამ გუნდებს მოუხდებათ თამაში ლენინგრადის „სპარტაკთან", ტარტუს „კალევთან", კაუნასის „ჟალგირისთან", მინსკის რტი-სთან და რიგის არმიელებთან.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 მარტისთვის

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 21 | 20 | 1897—1632 | 20 |
| „სპარტაკი" | 20 | 16 | 1529—1346 | 16 |
| „სტროიტ." | 21 | 13 | 1801—1698 | 13 |
| „კალევი" | 21 | 11 | 1704—1636 | 11 |
| „დინ." (მ.) | 20 | 11 | 1617—1571 | 11 |
| „დინ." (თბ.) | 20 | 9 | 1543—1581 | 9 |
| „ჟალგირისი" | 20 | 7 | 1552—1604 | 7 |
| რტი | 20 | 5 | 1401—1655 | 5 |
| ასკ (რიგა) | 20 | 5 | 1540—1721 | 5 |
| ასკ (კიევი) | 21 | 5 | 1581—1721 | 5 |

# ფოტოფინიშმაც ვერ გამოავლინა

დამთავრდა ევროპის მძლეოსანთა პირველობა დახურულ დარბაზში. საბჭოთა სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ სამ ოქროს მედალზე ჩვენ უკვე ვწერდით. გაგაცნობთ სხვა შედეგებსაც.

უხეიროდ გამოვიდა სამხტომში მსოფლიო რეკორდსმენი, თბილისელი ვ. სანეევი, რომელმაც მხოლოდ 15 მ და 34 სმ აჩვენა. იგი X ადგილზე დარჩა. გაიმარჯვა პოლონელმა მ. იოახიმოვსკიმ — 17,03 მ (მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა). მეორე საბჭოთა სპორტსმენი მ. ბარიბანი II ადგილზე გავიდა (16,88 მ).

ჭოკით ხტომაში რიგელმა ი. ლაურისმა 530 სმ აჩვენა და ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა. ჩემპიონი გახდა პოლონელი თ. სლიუსარსკი — 535 სმ. ფინელმა ა. კალიომარკიმ ისეთივე შედეგი აჩვენა, როგორიც ლაურისმა, მაგრამ ნაკლები ცდის გამო ვერცხლის მედალი მიიღო.

ინგლისელმა ჯ. კეიპსმა ბირთვის კვრაში ევროპის რეკორდი დაამყარა — 20,95 მ. ვოროშილოვგრადელი ა. იაროში მეხუთე იყო — 19,68 მ.

1500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ბულგარელმა ტ. პეტროვამ მსოფლიო მიღწევით — 4.11,00. მაგნიტოგორსკელი თ. კაზანკოვა მესამე იყო — 4.14,45.

იშვიათი შემთხვევა მოხდა 60 მეტრზე თარჯრბენში ქალთა შორის. გამარჯვებული ფოტოფინიშმაც კი ვერ გამოავლინა. ამიტომ ოქროს მედლები გადაეცათ ა. ფიდლერს (გდრ) და გ. რაბშტინს (პოლონეთი). მათი დროა 8,08. ამავე დისტანციაზე რბენა მოიგო რ. შტეპერმა (გდრ) — 7,16.

800 მეტრზე ქალთა რბენა ევროპის მიღწევით მოიგო პოლონელმა ე. კატოლიკმა — 2.02,38. 1500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა პოლონელმა ჰ. შორდიკოვსკიმ — 3.41,78.

ორი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს ბელგიელებმა. 3000 მეტრზე რბენა მოიგო მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენმა ე. პუტემანსმა—7.48,48, ხოლო 400 მეტრზე რბენის ფინალში გაიმარჯვა ა. ბრიიდენბახმა — 46,60.

მაღალი შედეგით დამთავრდა ვაჟთა შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში. გაიმარჯვა ფრანგმა ჟ.-ფ. ბომემ — 817 სმ. დონეცკელი ვ. პოდლუჟნი გამარჯვებულს 20 სანტიმეტრით ჩამორჩა და IV ადგილით დაკმაყოფილდა.

სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრება მოიგო რ. ვიტჩასმა (გდრ) — 190 სმ.

800 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა იუგოსლაველმა ლ. სუშანმა—1.48,07.

# საფეხბურთო ბიზნესის ინდუსტრია

შვეიცარიის ქალაქ ბაზელის მახლობლად განმარტოებულ ვილაში დასახლდა ვინმე რატცი, რომელსაც დასავლეთ გერმანიის საქმიანი წრეების ოფიციოზი, ჟურნალი „კაპიტალი" უწოდებს „დასასვენებლად განმარტოებულ საფეხბურთო ბიზნესის გიგანტს", „ფედერაციული რესპუბლიკის პროფესიული ფეხბურთის ინტიმური დეტალების ბრწყინვალე მცოდნეს". ყოფილ მიუნხენელს, რომელიც წლების მანძილზე შუამავლობას ეწეოდა დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო კლუბების გარიგებებში, ცხოვრების კრედო ასე ესახება: „ფეხბურთის ლიგა იგივე ფაბრიკაა, ხოლო საჭიროა შეიძლება კარგადაც მუშაობდეს და ცუდადაც. ფეხბურთელები მოსამსახურეები არიან, მაყურებლები — მომხმარებლები"; „ცხრა მეათედი იმისა, რაც დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო ლიგაში კეთდება, — ეს „ბეშეფტია", და მხოლოდ ერთი მეათედი რჩება სპორტს".

ჟურნალი სოლიდარობას უცხადებს რატცს. „კაპიტალის" აზრით, თითქმის ყველა კლუბის ადმინისტრატორებს ფეხბურთი მიაჩნიათ შემოსავლის წყაროდ, რაც შემდეგ სამკერვალო, საფეხმლო, ქიმიურ და მრეწველობის სხვა დარგებში წილის დასადებად სჭირდებათ.

„კაპიტალის" ექსპერტებმა დაბეჭდეს დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო ლიგის საბირჟო ცნობა. ამ ფინანსურ ცხრილში მთავარი ადგილი უკავია კლუბ „ბავარიას" (მიუნხენი). შემდეგ მოდიან „ბორუსია" (მენხენგლადბახი) და „ფკ კაიზერსლაუტერნი". მთავარი სამეულის კაპიტალი 15 მილიონ მარკას აღემატება. ხოლო თუ ამას დავუმატებთ ქონებისა და თავად მოთამაშეთა ღირებულებას, ამ სამი კლუბის განკარგულებაში არსებული თანხა 60 მილიონ მარკაზე მეტია.

როგორც ყველა კერძოკაპიტალისტური ფირმა, საფეხბურთო კლუბიც შეიძლება გაიფურჩქნოს და გაკოტრდეს. და მაშინ პირველ ყოვლისა აუქციონით გაყიდიან სპორტსმენებს, რომლებიც „კაპიტალს" საფეხბურთო კლუბებში ყველაზე უუფლებოდ მიაჩნია. მაგალითად, მიუნხენის „ბავარიის" შეფი ნოიდეკერი ფეხბურთელებს ასე ყოფს: „ვარსკვლავები", „საშუალონი", „დღიური მუშები". საფეხბურთო ცხოვრების მესვეურთა აზრით, განსხვავება გამოიხატება არა იმდენად ბურთის ფლობის უნარში, რამდენადაც საფეხბურთო ბაზარზე ამა თუ იმ სპორტსმენის ღირებულებაში. მაგალითად, „კაპიტალის" ცნობით, მოთამაშეებით ვაჭრობა დიდ შემოსავალს აძლევს რაინის კლუბებს. თუმცა ხანდახან სრულდება საწინააღმდეგო ფინანსური ოპერაციებიც. მაგალითად, ბრემენის საფეხბურთო ფირმა „ვერდერი" ძალიან დაიხარჯა, როცა სეზონის დასაწყისისთვის ექვსი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი შეიძინა, მაგრამ საბოლოო ჯამში კარგა ბლომად ფულს გამოჰკრა ხელი, თუმცა გუნდმა გულშემატკივართა იმედები ვერ გაამართლა. საქმე ისაა, რომ პოპულარული ფეხბურთელების თამაშის სახახავად სტადიონზე 20 ათასი კაცი მაინც დადიოდა და შემოსავალმა უხვად აანაზღაურა დანახარჯი. ხოლო სპორტული შედეგები ამ შემთხვევაში საფეხბურთო ბიზნესმენებს ძალიან ნაკლებად აინტერესებდათ.

„კაპიტალის" აზრით, ძალიან მარჯვე ტრიუკი მოიფიქრა ფრანკფურტის ერთ-ერთი გუნდის შეფმა ცელეკენსმა. მან გაითვალისწინა, რომ ამ ქალაქში ძალიან ბევრი თურქი მუშა ცხოვრობს და იყიდა თურქეთის ეროვნული ნაკრების მოთამაშე ენდერი. თურქი მუშები სტადიონებს მიაწყდნენ და კლუბის ფინანსური მდგომარეობაც გამოსწორდა. როგორც „კაპიტალი" წერს, საფეხბურთო მენეჯერები შემოსავლის ძიებაში არავითარ ხრიკებს არ ერიდებიან. მაგალითად, ახლა გფრ-ში უკვე ვერავის გააკვირვებ მოთამაშის მაისურების დამამშვენებელი რეკლამით...

ქვეყნის საფეხბურთო კლუბები იქცა კომერციულ საწარმოებად, სადაც პირველ ყოვლისა მოგების წყურვილი ბატონობს. ფეხბურთელები საქმოსანთა ხელში უბრალო ტიკინებად არიან ქცეული. როგორც „კაპიტალი" ამტკიცებს, დასავლეთ გერმანიის მოსამსახურეთა პროფკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გ. ვისნერი სწორედ ამ გარემოების გამო გახდა იძულებული ეთქვა შემდეგი სიტყვები: „დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო კლუბების მოთამაშეებმა უნდა მიიღონ იგივე უფლებები, რითაც გფრ-ის სხვა მუშები სარგებლობენ: გაფიცვის უფლება, საწარმოო საბჭოებში მონაწილეობა, გაყიდვაზე უარის თქმის უფლება".

რას იტყვიან ამაზე საფეხბურთო ბიზნესმენები? ჯერჯერობით საფეხბურთო ინდუსტრია კარგ შემოსავალს იძლევა. (საკდესი).

● ბოლცანო, 12 მარტი. იტალიის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის თასის მეორე გათამაშება 1-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში. შეჯიბრებაში 9 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ქალთა შორის გაიმარჯვა უ. კნაპემ (შვეცია) — 401,50 ქულა. II ადგილზე გავიდა პენზელი ი. კალინინა — 381,25. III ადგილი წილად ხვდა ა. ჰენრიკსონს (შვეცია) — 373,45. სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტი, 12 წლის ლ. პავლოვა XIII ადგილზეა — 284,05. ვაჟებში უძლიერესი იყო ჯ. დიბიასი — 529,20. II ადგილზეც იტალიელი ჯ. კანიოტო იყო — 521,40. III ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტი, ლვოველი ნ. მატკოვსკი — 490,35.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 68447

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04507